# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ოთხშაბათი, 15 მარტი 1900 წ. № 1072

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

(ნ. 0—10)

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

(ნ. 0—28)

## მთავრობის განკარგულებანი

**უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას:**

კურინის 79-ის ქვეითი პოლკის პოდპრაპორშჩიკს კალატოზიშვილს ებოძა პოდპორუჩიკობა და გადაყვანილი იქმნა ნავიგინის 78-ის პოლკში.

**ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას:**

მახარადზის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსის თანაშემწეს ტიტ. სოვ. ბებურიშვილს ებოძა კოლეჟ. ასესორობა.

გობის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს კოლეჟ. სეკრეტარს კეზელს,

ცაგერის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს კოლეჟ. სეკრეტარს მახარაძეს და ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელეთ კოლ. სეკრეტრებს ყიფიანს და მიქაბერიძეს ებოძათ ტიტულ. სოვეტნიკობა.

ონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გუბერნსკი სეკრეტარს კოტეტაშვილს ებოძა კოლეჟ. სეკრეტრობა.

ახალსენაკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების თანამდებობის აღმასრულებელს კოლეჟ. რეგისტრატორს გვინჩიძეს, ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელეს კოლეჟ. რეგისტრ. შენგელიას, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელეს კოლეჟ. რეგისტრატორს აბულაძეს და თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ზედამხედველს კოლეჟ. რეგისტრატ. მაჭავარიანს ებოძათ გუბერნსკი სეკრეტრობა.

# ახალი ამბავი

✦ სახელმწიფო საბჭოში წარდგენილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტები რუსეთის დასავლეთ გუბერნიებში და ჩრდილოეთ კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. ახლა, როგორც გაზეთები იტყობინებიან, ახალს მინისტრს ბ-ნ სიპიაგინს ეს პროექტები უკანვე წაუღია ხელახლად გადასასინჯავად.

✦ ტფილისის ოლქის სასამართლოს 10 მარტს დაურიგებია ნაფიც ვექილთათვის, მათ თანაშემწეთათვის და კერძო ვექილებისათვის ცირკულიარი, რომლიდანაც სჩანს შემდეგი: სასამართლოში ორი საჩივარი შესულა იმის შესახებ, რომ ვექილები ნამეტან დიდ საფასურს (გონორარს)ართმევენ რკინის გზებზე დაჭრილ-დასახიჩრებულთ, როდესაც უკანასკნელნი რკინის გზას უჩივიან. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ერთი ნაფიცი ვექილი დასახიჩრებულთ ართმევდა 15% იმ ფულიდან, რომელსაც სასამართლო მიუსაჯავდა რკინის გზიდან მომჩივანთ, მეორე ვექილი კი იღებდა 25 პროცენტამდე. გარდა ამისა, სასამართლოს ცნობები შეუკრებია, რომ ვექილები ხშირად მეტსაც იღებენ დასახიჩრებულთაგან, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ საქმეების წარმოება არც ძნელია, არც ბევრს დროსა და შრომას მოითხოვს ვექილთაგან. ამიტომ ოლქის სასამართლომ დაადგინა: „გამოეცხადოს ცირკულიარით ყველა ნაფიც ვექილთ, მათ თანაშემწეთ და კერძო ვექილთ, რომ იმ საქმეების წარმოებისთვის, რომელნიც შეეხებიან მოკლულთა ოჯახის და დასახიჩრებულთათვის ფულით შემწეობის აღმოჩენას რკინის გზების მიერ (კანონთა კრებ. მე-X ტ. 1-ლ განყოფ. 683 მუხ.), ვექილები უნდა იღებდნენ საფასურად არა უმეტეს 10% იმ ფულიდან, რომელიც სასამართლოს უკანასკნელ განაჩენით ან მოკამათეთა შერიგებით უნდა მიეცეს მომჩივანთ“.

✦ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის ბრძანება, რომლით ახალციხ-ახალქალაქის განყოფილების მომრიგებელ-შუამავალი სტ. სოვ. თუმანიშვილი სამსახურიდან იქმნა დათხოვნილი თავისავე თხოვნის თანახმად; ხოლო მის ადგილზე დაინიშნა ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს მდივანი ნადვ. სოვ. აღ. ყიფშიძე.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობამ და უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ. რობიმ მოაწერეს ხელი ახალს ხელშეკრულებას, შესახებ ტფილისის ტრამვაის გადაცემისა. ბ. რობიმ წარადგინა 50,000 მანეთად ღირებული სარგებლიანი სახელმწიფო ქაღალდები გირაოდ.

✦ ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში აღმოუჩენიათ ბოროტ-მოქმედება, რომლიც ჩაუდენიათ მეგრელებისთვის ყალბი სიგელების შესადგენად. გამოძიება მიენდო განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს. მრავალნი ურევიან თურმე ამ საქმეში.

✦ უმაღლეს მთავრობას დაუმტკიცებია წესდება პეტერბურგში ახლად დაარსებულის საზოგადოებისა, რომელსაც საგნად დაუსახავს აღმოსავლეთის შესწავლა და რუსეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დაახლოვება.

✦ ნოვოროსსიისკში არსდება გუბერნიის მევენახეთა და ღვინის მკეთებელთა საზოგადოება. არჩეულია საგანგებო კომისია, რომელიც ადგენს საჭირო პროექტს და რომელსაც ოფიციალურად დაევალა განზრახულის საქმის მალე მოწყობა.

✦ როგორც „ჩერ. ვესტ“. სწერს, 10 მარტს, ქ. ბათუმში ალიბეგ აბაშიძეს მოუკლავს პოლიციის დარაჯი სანაძე. საქმე აი როგორ ყოფილა: ალიბეგს და მის ძმას სულეიმან ბეგს საროსკიპოებში დაუწყიათ რევოლვერებით სროლა და აურ-ზაური. წესიერების აღსადგენად მისულა პოლიციის ბოქაული სალაყაია, რომლის თხოვნისთვის ყურადღება არ მიუქცევია სულეიმან ბეგს; დაუწყია სროლა, რომლის დროსაც იქვე მოუკლავს დარაჯი სანაძე. ორივე ძმა პოლიციას უკვე დაუპატიმრებია. გამოძიება სწარმოებს.

✦ ამავე გაზეთის სიტყვით, ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საალმაშენებლო განყოფილებას განზრახვა აქვს თურმე სოფლისა და მინდვრის გზების ზედამხედველობა დაუქვემდებაროს ამა განყოფილების გზის მკეთებელთ, რომელთაც სასოფლო გზების გაყვანის დროს საგზაო მეთვალყურენი უნდა გაგზავნოს ადგილობრივ და სოფლელებს საჭირო ტეხნიკური დარიგება მისცეს. ამ ჟამად კი ქუთაისის გუბერნიაში სასოფლო გზები გაჰყავთ სამაზრო ადმინისტრაციის განკარგულებითა და ზედამხედველობით. ადმინისტრაციის წევრნი კი, ტეხნიკურ ცოდნის არ მქონენი, ისეც მეტად დატვირთულნი არიან მრავალ რთულის მოვალეობით და ჯეროვანად ვერ უწევენ ხელმძღვანელობას სოფლის მკვიდრთ სასოფლო გზების გაყვანის დროს, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მცხოვრებელთა ეკონომიურად განვითარებისა, ამასთანავე სასამართლო და ადმინისტრაციის წევრთა მიერ მათის სამსახურის აღსრულებისათვის.

✦ **ტფილისის საკომერციო სასწავლებელში** შესვლის მსურველთა რიცხვი ძალიან ბევრია თურმე. დღემდის 120 თხოვნაზე მეტი წარუდგენიათ დირექტორისთვის.

✦ ფინანსთა **სამინისტროს** ბრძანებით, ქალაქი ტფილისი გაყოფილ იქმნა ორ **საგადასახადო ნაწილის** მაგიერ სამ ნაწილად. მესამე ნაწილის გარდასახადთა ინსპექტორად დაინიშნა შემახიის მაზრის გარდასახადთა ინსპექტორი ტიხენკო. იმავე ბრძანებით დუშეთთიონეთის საგარდასახადო ნაწილი ორად გაიყო: დუშეთისა და თიონეთის ნაწილებად.

✦ ქუთაისის გუბერნატორი გენერალი **გერშელმანი** ჩამოვიდა ქუთაისიდან და ჩამოხდა გენერალ ფრეზესთან.

✦ „ტფ. ფურცლის“ სიტყვით, **სომეხთა კათალიკოსი** მკრტიჩ I 13 მარტს წამოსულა ეჩმიაძინიდან. კათალიკოსი რამდენიმე ხანს ერევნის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში დაჰყოფს და შემდეგ ტფილისში მოვა.

✦ 13 მარტიდან შეიცვალა მატარებლების მიმოსვლის დროჟამი **ფოთისა და სამტრედიას** შუა. ამ რიცხვიდან მატარებლები გადიან სამტრედიიდან: № 17— დილის 5 საათ. და 3 წ., № 19— შუადღის 12 ს. და 40 წ., № 23— საღამოს 7 ს. და 20 წ.; ფოთიდან: № 18—ღამის 1 ს. 10 წ., № 20—დილის 6 ს. და 20 წ. და № 24—საღამოს 9 ს. 48 წ.

✦ **შარაქის საზოგრების გამიჯვნისათვის** სამიწად-მოქმედო სამინისტროს რწმუნებულის განკარგულებით სიღნიღის მაზრაში იგზავნება გამმიჯნავი კომისია სკიბიცკის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრები არიან: ტოპოგრაფები შრედერსი და ზედგინიძე და უფროსი მიჯვნელები ბერიძე და ყულიჯანოვი.

✦ ტყის მცველთა კრებაზე ტფილისში არჩეულ იქმნა ტყის რევიზორი სტებელსკი, რომელიც უნდა დაესწროს პეტერბურგის კრებას ტყის მცველების სხვადა-სხვა **სატყეო საგნებზე მოსალაპარაკებლად**.

✦ უკანასკნელ დროს ტფილისში შესამჩნევად იმატა სხვა-დასხვა **გადამდებ სენით** ავადმყოფთა რიცხვმა. 1-ლ მარტიდან აღნიშნულია 50 ავადმყოფი, უმთავრესად წითელათი და ქუნთრუშით; რამდენიმე ბავშვი დიფტერიტითაც გახდა ავად.

✦ რადგანაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ბიუროს მრავალ მეურნეთაგან მოუვიდა თხოვნა—გამოგვიგზავნეთ **კანაფის თესლიო**, ბიუროს გამოუწერია იგი ლენქორანის მაზრიდან. ამ ჟამად ბიუროს მიუღია დიდძალი თესლი, რომელიც უკვე ისყიდება. ეს თესლი გამოცდილია ლენქორანის მაზრაში და კარგის ხარისხის აღმოჩენილა.

✦ ვლადიკავკავის რკინის გზის მმართველობას შეუდგენია პროექტი ქალაქ **პეტროვსკისა და თემირ-ხანშურის** რკინის გზით შეერთების შესახებ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა გუბერნატორს შეადგინოს სავალდებულო წესები შესახებ **ცოცხალ საქონლის გარეკვისა, გზებისა**, რომელზედაც სავალდებულო იქნება გარეკა და სხვ. თანახმად ამ წინადადებისა, გუბერნატორმა მისწერა მაზრის მოხელეთ, რომ წარუდგინონ მას საჭირო ცნობები, აგრეთვე დაევალა სოფლის უმოწმობოთ არ იქმნას საქონელი გაშვებული.

✦ მთავრობის მიერ გარდაწყვეტილია **ნავთის მილის** გაყვანა ბაქოდან „ვოლჩი ვოროტამდე“ დაახლოვებით 30 ვერსის მანძილზე, რადგან ამ გზით მრავალი ნავთი იყო გადასაზიდი და დროც და ხარჯიც ბევრი უნდებოდა ნავთის გადატანას მატარებლებით.

✦ ბაქოს რკინის გზის სადგურზე და მთელ გზაზე „ჩორნი გოროდამდე“ აკეთებენ **ელექტრონის ფარნებს** ელექტრონით გასანათებლად. მაისამდე გათავებული იქმნება ეს საქმე.

✦ გუშინ, საღამოს $7^1/_2$ საათზე, გოლოვინის პროსპეკტზე მიმავალი ვაგონში მჯდარა, სხვათა შორის, ერთი ქალი, რომელიც ახლებულ ბილეთის ფულს იღებდა ქისიდან. ამ დროს ამხტარა ვაგონზე ვიღაც კაცი, გამოუტაცნია ქალის ხელიდან ქისა და გაქცეულა.

## ტფილისის საბჭო

13 მარტს მოხდა საბჭოს კრება ქალაქის მოურავის ევანგულოვის თავმჯდომარეობით. სხვათა შორის განხილულ იქმნა თხოვნა მეეტლეთა, რომელნიც თხოულობდნენ უჯარიმოთ ცხენების ხარჯის გადახდას პირველ აპრილამდე. ამ თხოვნასთან ერთად ქალაქის გამგეობამ წარუდგინა საბჭოს თავისი აზრი შესახებ ჯარიმის შემცირებისა თვრამეტ პროცენტამდე მაგიერ 24 პროცენტისა. ამ საგნის შესახებ ხმოსანმა ვესელუზოროვმა სამართლიანად შენიშნა, რომ ყოველ წელიწადს მეეტლენი თხოულობენ ვადის გადადებას და ყოველ წელიწადს ჩვენ ვაძლევთ ამ ვადას, მაშასადამე ერთხელვე და სამუდამოდ დავადგინოთ ვადა 1 მაისამდე. საბჭომ ვადის გადადება აპრილამდე და ჯარიმის დაკლება მიიღო თანახმად გამგეობის წინადადებისა; შესახებ ვადის გადადებისა სამუდამოდ და ჯარიმის დაკლებისა დაადგინეს იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რომ შეწყნარებულ იქმნას საბჭოს თხოვნა.

მეორე საყურადღებო საგანი იყო სანოვაგისა და სხვა ანალიზის ნიხრი საქალაქო ლაბორატორიისათვის. ქალაქის ლაბორატორია დაარსებულ იქმნა თავდაპირველად იმისათვის, რომ იგი დახმარებოდა როგორც სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის და ქალაქის ბაზრების ექიმებს, აგრეთვე იმათ, ვინც მიიტანდა რამე საეჭვო ღირსების სანოვაგეს გასასინჯად. ხალხის თვალში ამ დაწესებულებას ჰქონდა სულ სხვა დანიშნულება.

ახლა ქალაქის გამგეობა სცდილობს ისეც მცირე შტატი ლაბორატორიისა მოანდომოს კერძო ანალიზებს და შემოსავლით გაუძლვეს ხარჯს. ამ მოსაზრებამ აიძულა ქალაქის გამგეობა წარუდგინა საბჭოსათვის ნიხრი სანოვაგეთა და სხვ. გასასინჯად. ქალაქის საბჭოს ზოგიერთმა ხმოსანმა, მაგალითად, ა. ბაბოვმა, ამ საგანს შეჰხედეს ისე, როგორც მოითხოვს ქალაქის მცხოვრებთა ინტერესი და ამტკიცებდნენ, რომ უმჯობესი იქმნებოდა, თუ სრულიად მოსპობდნენ ფულის გარდახდევინებას. დასასრულ საბჭომ დაამტკიცა ნიხრი და უარჰყო ლაბორატორიაში მოსამსახურეთა პროცენტით დაჯილდოვება. შემდეგ თ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა საბჭოს პროექტი წესებისა შესახებ უსუფთაოების მილების გაკეთებისა. ეს პროექტი საბჭომ გარდასცა კომისიას განსახილველად. დასასრულ ა. ბაბოვი შეეკითხა ქალაქის მოურავს შესახებ ქალაქის გამგეობაში საქმის მწარმოებლად ყოფილის ბ-ნ ბეკის სამსახურიდან დათხოვნისა. ქალაქის მოურავმა უპასუხა, რომ იმავე კანონების ძალით, რომელიც ბ. ბეკს მოჰყავს წერილში, უფლება მქონდა დამეთხოვნა იგი და ამის შესახებ არავითარ კითხვას არ წარმოგიდგენთ განსახილველადაო; მაგრამ თუ საბჭოს ჰსურს, ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მე წარმოგიდგენთ საქმეს.

ხმ. ბაბოვი. მაშ რაკი აგრეა, მე თვითონ შემოვიტან საკითხს. კრება 11 საათზე დაიშალა.

# დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**13 მარტი**

**პეტერბურგი**. 13 მარტს ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ბრძანდებოდნენ საინჟინერო სასწავლებელში.

**ლონდონი**. გაზეთ „მორნინგ პოსტ“-ს ატყობინებენ კროკოდილპულიდან 6 მარტს, რომ ამ დღეს ბურები განუწყვეტლივ ყუმბარებს ესროდნენ მეფკინგს. 29 თებერვალსა და 1 მარტს ინ-

ვლისის მზვერავმა რაზმმა, მიდამოების დაზვერის დროს, მოჰკლა რამდენიმე ბური და მოსტაცა მათ ცხენები და თოფები. ინგლისელთ 12 კაცამდე მოუკლეს და დაუჭრეს.

„დეილი ტელეგრაფ"-ს ატყობინებენ კიმბერლეიდან 12 მარტს: „აქ ჩამოყვანილი ტყვეები ამბობენ, რომ ინგლისელთა ცხენოსანი რაზმი ტრანსვაალს შეესია და მიიდა ადგილამდე, რომელიც 18 მილის სიშორეზე ძევს კრისტიანიდან".

„ტაიმს"-ს ატყობინებენ რუკსვილიდან 11 მარტს: „გენ. ოლივიე მიდის ბურების ძლიერის ჯარითა და 15 ზარბაზნით ლედიბრანდიდან. ბაზუტოლანდიდან ჩრდილოეთით შეამჩნიეს ბურების მრავალი, დატვირთული სურსათით, ფურგონები, რომელნიც კლოკოლანისკენ მიიმართებოდნენ. შესაძლებელია, რომ ფრენჩმა წაართვას ბურებს ეს ფურგონები".

**ოლდენბურგი.** ახლად დაბადებული პრინცი ღამე გარდაიცვალა.

**ბერლინი.** წინააღმდეგ იმ ხმებისა, ვითომც მალე გადიყვანენ პეტერბურგიდან ეხლანდელს გერმანიის ელჩს, „ნორდდაიჩე ალგემეინე ცაიტუნგს"-ს შეუძლია დაბეჯითებით სთქვას, რომ ეს უბრალო ხმებია და თავადი რადოლინი არსად არ გადაჰყავთ.

**კაპშტადტი.** წარსულ ღამეს ცეცხლი გაჩნდა; დაიწვა ბევრი შენობა; ძლივს გადაარჩინეს სახელმწიფო დაწესებულებათა საღგომები. არხივი გადაიტანეს პარლამენტის შენობაში, მაგრამ მაინც დაზიანდა ცეცხლისაგან. ცეცხლი სამი საათის განმავლობაში მძვინვარებდა.

14 მარტი

**პარიზი.** პარლამენტში მთავრობას დაეკითხნენ მარტინიკში მომხდარ უწესოებათა შესახებ; საპასუხო სიტყვაში დეკრე იცავს მოხელეთა მოქმედებას მარტინიკში. მინისტრი უმატებს, რომ მარტინიკში ადგილი ჰქონდა ეკონომიურ ნიადაგზე შეტაკებას და არა ერთა შორის ბრძოლას. მთავრობამ გამოძიება დაიწყო დამნაშავეთა აღმოსაჩენად (ტაშის ცემა).

**ლონდონი.** „ტაიმს"-ს ბლუმფონტეინიდან ატყობინებენ 12 მარტს: ჯარების დიდი ხნით გაჩერება ბლუმფონტენში გამოწვეულია დაპყრობილ მხარეში საქმეთა მდგომარეობით. სამხედრო წეს-რიგი კარგად მოქმედობს მცხოვრებლებზე, მაგრამ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ საჭიროა ფრთხილად მოეეპყრად ზოგიერთ ბურებს, რომლებმაც ერთგულება გამოუცხადეს ინგლისელებს.

**პარიზი.** პალატა. ვალდეკი ეთანხმება ქერვილ-რეაშის მიერ წარმოდგენილს ფორმულას, რომლით პალატა ნდობას უცხადებს მთავრობას წეს-რიგის და სიმართლის აღდგენის გამო. ფორმულა მიღებული იქმნა 46 ხმის უმეტესობით.

**მადრიდი.** კოროლევამ რეგენტშამ მოაწერა ხელი კანონის შესახებ ვალების კონვერსიისა.

**პარიზი.** „ლიბერტე", ამბობს რა შესახებ დიდი მთავრის თავადი ალექსანდრე მიხეილის ძის სავაჭრო-საზღვაო რჩევის თავმჯდომარეთ დანიშვნისა, აცხადებს, რომ ეს ფრიად საყურადღებო განკარგულება აღნიშნავს ახალს ხანას რუსეთის სავაჭრო ფლოტის განვითარებას. „როგორც ერთი ფრიად გამოჩენილი აფიცერთაგანი სამხედრო ფლოტისა, ამბობს გაზეთი, როგორც ტეხნიკი, დიახ მცოდნეა და, როგორც წევრი საიმპერატორო საგვარეულოსი, ახალი თავმჯდომარე დააწინაურებს მძრავრ სავაჭრო ფლოტის დაარსებას, რომლის აღსრულება არ ძალუძს სხვას.

**კაპშტადტი.** მილნერი გაემგზავრა დღეს ელიზაბეტპორტიდან ბეტულიში.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს გაუგია, რომ დელაგოას ნავთსადგურის საქმის შესახებ გარდაწყვეტილება მედიატორეთ არ შეუძლიანთ გამოცხადონ აპრილის შუა რიცხვამდე.

**ბარქლივესტი.** ბურების რაზმმა, 400 კაცისგან შემდგარმა, ისევ დაიჭირა პაპკული და აიძულა ადგილობრივი მეამბოხენი ბურებს მიჰკედლებოდნენ. ოლქში ცარცვა გლეჯა გახშირდა.

**კიევი.** სხვა და სხვა მაზრებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ აქ აღმოუჩენიათ 21 თებერვალს ქარ-ბუქის დროს დაღუპულთა გვამები. კანევის, ლიპოვეცკის და რადომისლის მაზრებში აღმოუჩენიათ 15 გაყინული გვამი; შიშობენ, რომ კიდევ ბევრი დაღუპული აღმოჩნდება. იმავე დროს, როდესაც ხსენებულ მაზრებში ქარ-ბუქი იყო, გუბერნიის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩერკასისა და ჩიგირინის მაზრებში, საშინელი წვიმა მოვიდა; ნიაღვარმა ბევრი სოფლები წაახდინა. სმელაში მცხოვრებთა ზარალი აღემატება 200,000 მანეთს.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**ოთხშაბათი,** 15 მარტი; ახალი სტილით 28 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 291 დღე. მთვარის მე-28 დღე. დიდი მარხვის ოც-და-მეოთხე დღე. ხსენება წმ. მოწამისა ალაპისა, დიონისისა და ნიკანდრისა.

**ხუთშაბათი,** 16 მარტი; ახალი სტილით 29 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 290 დღე. მთვარის მე-29 დღე დიდი მარხვის მე-25 დღე. ხსენება წმ. კირილე იერუსალიმელისა და მოწ. სერაფიონისა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

## ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალეზე,

| | | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რძხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, მროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჭუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და გჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

**მატარებელი № 6** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მოდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე —9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

რიონიდგან ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

ქუთაისიდგან რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

შორაპნიდან ჭიათურაში გადის დღეში ორი სასალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

ჭიათურაში მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

ჭიათურიდგან შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის—2 ს. 05 წ.

მიხაილოვიდგან სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

სურამიდგან მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

ქუთაისიდგან ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბრს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

თბილისიდან ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღისაღამოს 5 ს. 35 წ.

ვლადიკავკასიდგან: ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 15 მარტს, გამგეობის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით უნდა გაიცეს იჯარით აშენება სახლისა ავჭალის საქალაქო წყლის მილის გამგესათვის და აგრეთვე რემონტი ავჭალის სახლისა 5653 მანათისა. და 16 კაპეიკისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებით პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(ნ. 3—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 1900 წლის 20 აპრილს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით უნდა გაიცეს იჯარით ფულის შეკრეფა ეტლებისა და ურმებისაგან, აგრეთვე მსხვილ-ფეხა და წვრილ-ფეხა საქონლის გადენისაგან **მნაცაკანოვის ხიდზე**. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 3—2

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

**გ ა მ გ ე ო ბ ი ს ა გ ა ნ.**

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

**გლეხი-კაცის ისტორია,**

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. გუნია.



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.